

ლინგვოპოეტიკური პერიპეტები და მეტყველების სტრატეგია კრებულში „დრო არ იძლევა უფლებას“

პოეტური ენა, როგორც ენობრივი სინამდვილის ნაწილი, მრავალმხრივ საინტერესოა და მხატვრულ ნაწარმოებთა კომპლექსური ანალიზისას, ბუნებრივია, მის კვლევას უპირველესი ადგილი უჭირავს. პოეტური ენა მთელი თავისი შესაძლებლობებით პოეტური მეტყველების სტრატეგიასა და ტაქტიკას ემსახურება და, ამდენად, მისი მონაპოვარი სიტყვის კულტურის თვალსაზრისით ყოველთვის ფასეულია.

პოეტური მეტყველების ორი უმთავრესი ნიშანი – **ლაკონიურობა** და **სისადავე** – სათქმელი თქვა მკაფიოდ და მოკლედ, ანუ დაზოგო მკითხველი ინფორმაციით გადატვირთულ თანამედროვე ეპოქაში, ვფიქრობთ, ბრწყინვალე არჩევანია უახლოესი მომავლისათვის სიტყვიერი ხელოვნების და მათ შორის – პოეზიის გადარჩენის ურთულეს გზაზე, თუმცა მხატვრულობა ამ ორ ნიშანთან (ლაკონიურობა და სისადავე) შედარებით უპირატესია, რადგან სწორედ მხატვრულობის წყალობით არსებობს სიტყვიერი ხელოვნება.

ყოველი სამეტყველო მიზანდასახულობა სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას ანიჭებს ენას, გამოავლენს ჩვეულ და უჩვეულო წყობას, წამყვან თუ უმნიშვნელო პროცესებს. მწერალი-ნაწარმოები-მკითხველი – მხატვრული კომუნიკაციის ეს სამი უმნიშვნელოვანესი მონაწილე – დროისა და სივრცის ამგვარი ურთულესი გამოწვევების (როგორც ამჟამად არის) წინაშე არც არასდროს ყოფილა. ჩვენი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კულტურული გარემო შემოქმედ ადამიანებს, ხელოვანებს, პირდაპირ მოუწოდებს ესთეტიკური თანადგომისაკენ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია ბადრი ქუთათელაძე, რომლის ბოლოდროინდელი პოეტური კრებული „დრო არ იძლევა უფლებას“ ზემოთ ნახსენები ესთეტიკური თანადგომის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

„დრო არ იძლევა უფლებას“ მრავალმხრივ საინტერესო, თემატურად მრავალფეროვანი კრებულია. ეს სოლიდური მოცულობისა და გამორჩეულად ლამაზი დიზაინის წიგნი აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრმა და გამომცემლობა „გრიფონმა“ გამოსცა. მასში შესულია პოეტის როგორც ახალი, ისე ძველი ორიგინალური და თარგმნილი ლექსები. კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ზაალ ბოტკოველი. წინასიტყვაობას მოსდევს მურმან ჯგუბურიას არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ესეი ბადრი ქუთათელაძის ლირიკის შესახებ. ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ და ლაკონიურად ამ კრებულის ღირსებას ლეონარდო და ვინჩის გენიალური ფრაზა განსაზღვრავს: **„სისადავე უკიდურესი დახვეწილობა“**. ამ კრებულში სწორედ რომ სისადავეთა და გულწრფელობით გაჯერებული ნამდვილი პოეზიაა წარმოდგენილი. ეს ორი ბაზისური პოსტულატი – სისადავე და გულწრფელობა – მაღალნიჭიერად შენივთებული განსაზღვრავს ნებისმიერი პოეტური ქმნილების როგორც რელევანტურობის ხარისხს, ისე სიცოცხლისუნარიანობას. თვით ამგვარი სიმბიოზი კი უკვე, როგორც რეზულტატი პოეტური ქმნადობისა – ერთი მონოლითური მთლიანობა – გაცხადება პოეტური მოღვაწეობის დანიშნულებისა: ენდო პოეტს, მოგეწონოს, შეგიყვარდეს და გაითავისო ლექსი. თანამედროვე ეპოქაში, რომელშიც დროით დაწყებული ლამის ყველაფრის დეფიციტია, პიროვნების ზოგადი მდგომარეობის უფრო მართალი და ლაკონიური აღწერა ძნელად წარმოსადგენია, ვიდრე ეს სტრიქონები გვეუბნება:

„მოთმინებით ვცხოვრობ...
მოთმინებით ველი...
მოთმინებით მიმზერს
მოთმინება ჩემი“.

ეს უთუოდ ის ლექსია, რომელიც ყველა მკითხველს „თავისი“ ჰგონია და ეს მინდობა პოეტისადმი, რომ ის „საჩვენო“ კი არა, არამედ „ჩვენს“ ლექსებს წერს, სწორედაც რომ მის მიერ არჩეული მეტყველების სტრატეგიის გამართლების დასტურია. პოეზიის მოყვარული და დაინტერესებული მკითხველი ამ კრებულში ნამდვილად აღმოაჩენს მისთვის სანდო და საყვარელ არაერთ ლექსს. ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, გულწრფელობისა და სევდანა-

რევი სიხარულის სურნელს მოიყოლებს პოეტის ისეთი არაჩვეულებრივი სისადავის სტრიქონები, როგორებიცაა, მაგ.:

„წამოიშლება
მთებიდან თოვლი,
კვირტებს ტოტებზე
ალაგებს მარტი...
უკვე ფერმკრთალი,
დაღლილი წოლით,
წამოიშლება მთებიდან თოვლი“.

მგონი ქართველის ზღვა სიყვარულის, საქართველოს ტკივილიანი და ამაყი ისტორიის დამტევი და, საერთოდაც, ყველაფრის მთქმელია მხოლოდ ეს სტრიქონები: „გუშინ გელათს ვიყავ, ბალახს მოვეფერე...“ ვფიქრობ, ეს არის უბრალოების უკიდუგანოდ, თვალში უწვდომლად მაღალი მწვერვალი. ამგვარ სიმაღლეებს მხოლოდ რჩეული პოეტები გვჩუქნიან. არაჩველებრივი სიფაქიზითა და მოკრძალებით ივსები, როცა პოეტი ამბობს:

„ლოცვებს კითხულობს
ჩვენი მოძღვარი
და გოგონები
დგანან სანთლებად“.

ანდა:

„აქ ჩარგალში,
შიში მიპყრობს
შენი ნიჭის
გაბრწყინების...
შენ ხარ დიდი,
შენ ხარ დიდი,
ვით ჩიტებში არწივები“.

პოეტი ლირიკულ პორტრეტთა ხატვის უბადლო ოსტატია. ამ რიგისაა ლექსები: **ზურაბ ქავიანიძის პორტრეტი, ლომი (თენგიზ არჩვაძეს), ალექსანდრე ჩივაძეს** და სხვ. ამ ციკლის ლექსები მის შემოქმედებაში იმპერატიულად ასაბუთებს პოეტის ზნეობრივ

მრწამსს მეგობართა ხსოვნისადმი დამოკიდებულებით, რომ მეგობართა გვარ-სახელები არ იშლება არათუ ხსოვნის წიგნში, არამედ ჩვეულებრივ უბის წიგნაკვიც. ლირიკული შედეგია ლექსი „მეგობრების ხსოვნას“:

„უბის წიგნაკს
სინანულის ცრემლი
ახლავს.
გამოაკლდა, ეჰ რამდენი
გამოაკლდა...
თუ გადავწერ,
ან შევავსებ
ფურცლებს ახლით,
არ გადავშლი
მე თქვენს გვარებს,
არ გადავშლი“.

ამგვარი მიძღვნილი ლექსებია: **მერაბ ზერძენიშვილს, ზურაბ ქაფიანიძის ხსოვნას, ქარი (დიმა ჯაიანს), ჯანსუღ ჩარკვიანს, ვიტალი დარასელიას, გურამ ფანჯიკიძეს, ჰეი, წუთისოფელო! (მერაბ ზერძენიშვილს!)**.

თემატური მრავალფეროვნებისა და მხატვრული კომუნიკაციის სანდოობის გვერდით, ერთობ საინტერესოა აღნიშნული პოეტური კრებულის ლინგვოპოეტური პერიპეტეიები, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას: სახელდობრ, ფრიად შთამბეჭდავია, პოეტური მეტყველების სტრატეგიისა და ტაქტიკის თვალსაზრისით, მხატვრული კომუნიკაციის ადრესატზე გავლენის მოხდენა, მისი დარწმუნება. საკითხის ერთი მხარეა შემოქმედის შინაგანი მონოლოგი, სათქმელის განივთება ლექსიკაში და მეორე – ის, რომ მსმენელსა თუ მკითხველზე ზემოქმედებისათვის აუცილებელია მეტყველების დამაჯერებლობა. მაქსიმალური ეფექტი დარწმუნებისა სწორედ გულწრფელობისა და სისადავის თანაარსებობით მიიღწევა (მურმან ჯგუბურია კრებულისადმი მიძღვნილი ესეის პოსტსკრიპტუმში წერს კიდევ: „გულწრფელობა და სიმართლე ნათესავები არიან“). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნობელის პრემიის ლაურეატის ი. ბროდსკის მეტად საგულისხმო მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „ლიტერატურის არსებობა არსებო-

ბას გულისხმობს ლიტერატურის დონეზე, ამასთანავე, არა მხოლოდ ენობრივად, არამედ ლექსიკურადაც. თუ მუსიკალური ნაწარმოები ადამიანს არჩევანის შესაძლებლობას კიდევ უტოვებს მსმენელის პასიურ როლსა და შემსრულებლის აქტიურ როლს შორის, ლიტერატურის ნაწარმოები, მონტალეს სიტყვებით რომ ვთქვათ, უიმედოდ სემანტიკურია, იგი მხოლოდ შემსრულებლის როლს აკისრებს (მკითხველს)... რომანი ან ლექსი მონოლოგი კი არ არის, არამედ მწერლის საუბარია მკითხველთან – უკიდურესად კერძო საუბარი, რომელიც სხვებს გამორიცხავს. ამ საუბრისას მწერალი მკითხველის ტოლია ისევე, როგორც – პირიქით, იმისდა მიუხედავად, დიდი მწერალია იგი თუ არა. ეს ტოლობა ცნობიერების ტოლობაა და იგი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება ადამიანთა ბუნდოვანი თუ ნათელი ხსოვნის სახით... რომანი ან ლექსი მწერლისა და მკითხველის ურთიერთმარტოობის პროდუქტია“. ამ მოსაზრების უთვალსაჩინოესი ნიმუშია ლექსი „თოვლი“, რომელსაც მურმან ჯგუბურიამ სრულიად სამართლიანად „სასწაული ლექსი“ უწოდა. სწორედ შემოქმედისა და მკითხველის ურთიერთმარტოობისა და სანდოობის მწვერვალია იგი, რადგანაც პოეტი ამ ლექსში მკითხველს ანდობს იმას, რისი გამხელა საკუთარი თავისთვისაც კი უმძიმს:

„შემორჩენია თოვლი ფერდობებს,
გამზადებული უკვე წამსვლელად...
არის ასაკი – ვეღარ ენდობი,
ვფიქრობ და მიჭირს ამის გამხელა...
შემორჩენია თოვლი ფერდობებს,
გადაღლილი და წყენით მზირალი,
მივდივარ, მტკივა, ასე რომ გტოვებ,
ხარ კეკლუცი და სახე მცინარი.
მოგონებების ბურუსში ვცხოვრობ,
მე თოვლის მეტი აქ ვინ მეგულვის,
შენ – ჩვიდმეტის და ლამაზი გოგო,
მე – სამოცის და გაფითრებული“.

ლინგვოპოეტიკური და სტილისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე შემფასებლური მიმართება, კერძოდ, „გულწრფელობის დასახატად და გამოსახატავად“ რამდენად გამოსადე-

გია ესა თუ ის ენობრივი ერთეული, თუ როგორ არის შერჩეული ყველაზე შესაფერისი ენის სინონიმურ საშუალებათაგან და როგორ უნდა შეფასდეს ეს ლექსიკური არჩევანი. ერთობ საინტერესო შესაძლებლობებს გვთავაზობს ამ თვალსაზრისით კრებულში წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა. ამ ციკლის ლირიკულ ლექსებში გვაქვს ხატოვანებაც, ნაკლებხატოვანებაც და არახატოვანებაც და საოცარი სწორედ ის არის, რომ სამივე ტიპის ლექსებში დასრულებული ლირიზმის განწყობილება და გამოხატულება თანაბარი სიძლიერით აღიქმება – პოეტი ქმნის ლირიკულ შედეგებს. სწორედ ამ ფაქტით ცხადდება პოეტის ოსტატობის მაღალი დონე, გულწრფელობისა და სისადავის აღმატებულება და ის, სიტყვებში ჩატეული და ჩამალული უცნაური სიმართლე, რომლის მოხელთებაც მხოლოდ „ლინგვისტური ბადით“ შეუძლებელია და ამავდროულად არადამაჯერებელიც. საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით ბადრი ქუთათელაძის მხატვრული ლირიკა დიდწილად პირდაპირი მტკიცებულებაა ა. ლოსევის მოსაზრებისა, რომლის თანახმად, „წმინდა ლირიზმი ანიკონურია“. განსახილველ კრებულში წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა შთამბეჭდავი საილუსტრაციო მასალაა აღნიშნულის დასადასტურებლად.

სტილურ საშუალებათა ფონზე განსაკუთრებით შთამბეჭდავია ორიგინალობით აღბეჭდილი კონტექსტები, ასე მაგ.: „მოხუცს იმედი დაჰქონდა მხრებით“, „მეგებება შემოდგომა, გოგო – ახალგაცნობილი“, „შენი გულმკერდი – ბროწეულის ცხელი კვირტები“, „შენი ტანის სიშიშველე – სულის რობაიები“ და სხვ.

ვფიქრობთ, უადრესად საინტერესოა კრებულში წარმოდგენილი ლექსების მიხედვით ავტორის მეტად ტკივილიანი და ფსიქოლოგიური დრამატიზმით აღბეჭდილი ემოციური მდგომარეობა, რომელსაც პოეტი თითქოსდა უბრალოდ ასე გამოთქვამს: „ძველი ფიქრებით ცხოვრება ძნელი ყოფილა, ძნელი“. ამ საფიქრალითაა მოცული მისი როგორც პატრიოტული, ისე სატრფიალო ლირიკა. პოეტს სწამს, რომ როგორც სამშობლო, ისე სატრფოც სხვათაგან აღმატებულს ავალდებულებს, აკი ამბობს კიდევ: „შენ სულ სხვა ცრემლს და სიყვარულს ითხოვ“. ჩვენი მსჯელობის ამ პარადიგმაში ერთობ საინტერესოა ერთი დაკვირვებაც, რომელსაც პოეტი ასე გადმოსცემს: „მესმის ჩურჩული, ხმა უაზრო და შემზარავი – ჩემი ტკივილის არაერთგზის განმეორება“. ამ ტკივილის განმეორებით აღბეჭ-

დილი ლექსების შინაგანი ერთიანობა და მთლიანობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტკივილის დაუნაწევრებლობა, კარგად ცხადდება შემოქმედის პოეტური მეტყველების სტრატეგიაში. ამის ერთ-ერთი პირდაპირი მტკიცებულებაა ლექსის სათაურის სპეციფიკა, ასე მაგალითად, სამშობლოსადმი მიძღვნილი ორი სხვადასხვა ლექსი ერთი და იმავე სათაურით: „საქართველო!“, ასევე ორი ლექსია სათაურით „ქუჩა“, „თოვლი“ და სხვ. სწორედ რომ „ტკივილის არაერთგზის განმეორება“ ათქმევინებს პოეტს აღსარების დასადარ ლექსს: „ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი!.. და პატიებას ვერ ითხოვს გული, რადგან დაკარგა ამ ქუჩამ ძველი ალუბლის ფერი და ვარდის სუნი“. აქვე, სათაურის ესთეტიკაზე საუბრისას აღსანიშნავია ანალიტიკური და ესთეტიკური ეფექტის მისაღებად პოეტის მიერ პუნქტუაციის ნიშნისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭება – ძახილის ნიშანი უზის სათაურებს ლექსებში: „ჰეი, წუთისოფელო! (მერაბ ბერძენიშვილს!) და სხვ. ეს ერთგვარი დამატებითი პოეტური ხერხია სათქმელის ანალიტიკურ-ემოციური სისავსისათვის.

დაბოლოს, თვით პოეტური კრებულის სახელწოდება – პოეტის ჩანაფიქრის, მისი მეტყველების სტრატეგიის არსის საუკეთესოდ გამომხატველი – „დრო არ იძლევა უფლებას“ ნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებით ახლა, ამ ინფორმაციის მოზღვავეებისა და სასტიკი გულგრილობის საუკუნეში, დრო არ იძლევა უფულობის, უზნეობისა და უსიყვარულობის უფლებას, რომ პოეზია „სულის – თეთრი ყვავილის“ გადარჩენის უპირველესი საშუალებაა. ნიშანდობლივია პოეტის სიტყვები: „და მახსენდება გაწვდილი გული, სიყვარულით რომ ნაცნობებს ვატან“. ამ გზით – გულის, მზისა და ადამიანობის გზით მას მხოლოდ ამადლებულისათვის, მშვენიერებისათვის ემეტება თავისი მკითხველი. პოეტის აზრით, შემოქმედის გაწვდილი გული ყველაზე სანდო ფორმაა ესთეტიკური თანადგომისა, ამიტომაცაა, რომ მისი ულამაზესი სურვილი მკითხველისადმი ლოცვასავით ჟღერს:

„მინდა იყო ჩემზე კარგად,
ჩემთან ერთად და ჩემს შემდეგ!“

მიმოხილვის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ პოეტური მეტყველების სტრატეგიის ამგვარი გაცხადება თანამედროვე ქართუ-

ლი სიტყვის კულტურის გამოვლენის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია და ზემოთქმულის გარდა, მრავალ მეცნიერულ და სახელოვნებო საფიქრალს აჩენს.

ლიტერატურა

ქუთათელაძე 2018 – ბ. ქუთათელაძე, დრო არ იძლევა უფლებას, თბილისი.

ჩაჩანიძე 2018 – მ. ჩაჩანიძე, „დრო არ იძლევა უფლებას“ – ბადრი ქუთათელაძის ახალი პოეტური კრებულის ლინგვოპოეტიკური ასპექტები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № 40, თბილისი.

Manana Chachanidze

Linguopoetic Peripeteias and Speech Strategy in the Collection “Time Does Not Allow It”

Summary

Every speech purpose gives a language a variety of possibilities, reveals usual and unusual orders and major or minor processes. A writer – a work – a reader, the three significant participants of the literary communication have never faced such pressing challenges of time and space as they have at present. The socio-political and literary-cultural environment of our epoch asks creative people, artists for aesthetic support. In this regard, in modern Georgian poetry, one of the most distinguished authors is Badri Kutateladze whose latest poetic collection “Time Does Not Allow It” represents the best example of the above-mentioned aesthetic support.

The present paper discusses patriotic and love poems linguopoetically and stylistically, the aesthetics of titles for the analytical-emotional fullness of the poetic speech and the extraordinary use of punctuation marks which are intended for a particular analytical, aesthetic effect.